

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბია სურბ გილამე, ნინო თორიშვილი,
გიორგი მალამა

მონაცემთა პაზის მართვის სისტემების
სტრუქტურების დაპროექტება:
ORM / ERM, Ms SQL Server



თბილისი – 2007

უაკ 6813.06

დაპროგრამების ობიექტ-ორიენტირებული მიღვომისა და UML ტექნოლოგიის საფუძველზე შემოთავაზებულია ობიექტ-როლური მოდელირების ORM-ინსტრუმენტის გამოყენება არსთა-დამოკიდებულების მოდელის ERM-სქემის ავტომატიზებულ რეჟიმში მისაღებად. კატეგორიალური მიღვომისა და ლოგიკურ-ალგებრული მეთოდების გამოყენებით ხორციელდება საპრობლემო სფეროს მონაცემთა სტრუქტურებისა და ცოდნის ობიექტ-ორიენტირებული მოდელირება.

შემუშავებულია ამოცანათა კომპლექსი მონაცემთა ბაზების სტრუქტურების დასაპროექტებლად მრგწველობის, განათლების, ეკონომიკის და სხვ. სფეროებიდან. მათი გამოყენება მიზანშეწონილია მონაცემთა ბაზების დაპროექტებისა და დაპროგრამების UML-ტექნოლოგიის დისციპლინების შესწავლის მიზნით, აგრეთვე კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად მონაცემთა ბაზების რაციონალური სტრუქტურებს მისაღებად.

განკუთვნილია ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაქულტეტის სპეციალობის მაგისტრანტებისა და სტუდენტებისათვის.

ს ა რ ჩ მ 8 0

| | |
|--|-----------|
| - შესავალი | 4 |
| I თავი. თეორიული ცაფილი | 5 |
| 1. რელაციური ბაზების სემანტიკური პრობლემები და მათი გაფართოებული მოდელები | 5 |
| 12. კატეგორიული მიდგომა მონაცემთა ბაზებში და ობიექტ-ორიენტირებული <i>ER</i> -სქემის აგება | 7 |
| 13. მეორედოლოგია | 13 |
| 13.1. მოთხოვნილებათა არაფორმალიზებული წარმოდგენა (ტექნიკური დავალება) | 13 |
| 13.2. პირველი ობიექტები მთავარ პრედიკატებში | 14 |
| 13.3. აბსტრაქცია – ენის ლოგიკური პროცესი | 15 |
| 13.4. მთავარიდან დამხმარე პრედიკატების კენ | 16 |
| 13.5. აბსტრაქცია – განხოგადება | 19 |
| 13.6. მერეოლოგიური სტრუქტურები | 20 |
| II თავი. არაპრიკული ცაფილი (ამოცავები) | 23 |
| 2.1. ობიექტ-როლური მოდელირება (<i>ORM</i>) განაწილებული ოფის-ობიექტებისათვის | 23 |
| 2.2. ამოცანის დასმა | 27 |
| 2.3. ფაქტების მოზადება და <i>ORM</i> -დიაგრამის აგება საკონტრაქტო ამოცანისთვის | 30 |
| 2.4. <i>ORM</i> -დიაგრამის აგება უნივერსიტეტის მაგალითზე | 32 |
| 2.5. <i>Ms SQL</i> - ბაზისთვის <i>DDL</i> ფაილის მომზადება | 37 |
| 2.6. ავტომატიზებული ანალიზის სისტემის დაპროექტება სატენდერო კომისიის ექსპერტებისათვის | 43 |
| 2.7. ენერგოსისტემის ობიექტ-როლური მოდელი | 49 |
| 2.8. ენერგობილექტების კონტროლის სისტემის მონაცემთა ბაზის ავტომატიზებული აგება | 51 |
| - დიდებაფურა | 55 |

შესაგალი

კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია სამეცნიერო და საინჟინრო სამუშაოების შესრულება განაწილებული მართვის ავტომატიზებული სისტემების დასაპროექტებლად და სარეალიზაციოდ ობიექტ-ორიენტირებული მიღებობის საფუძველზე.

უნიფიცირებული მოდელირების ენის (*UML*) ინსტრუმენტების გამოყენებით მიიღწევა დაპროექტებისა და დაპროგრამების ურთულეს პროცესთა ავტომატიზაცია, რაც საგრძნობლად ამცირებს საპროექტო-საინჟინრო ეტაპების შესრულების დროს და ამაღლებს საბოლოო პროდუქტის, მართვის სისტემის ხარისხს [1,2].

საუნივერსიტეტო განათლების სისტემა კომპლექსური და მეტად მნიშვნელოვანი ობიექტია მართვის პროცესების შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე [3,6,9,10,15].

ჩვენი ქვეყნის მრავალი დაწესი, კერძოდ ენერგეტიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ. ინფორმატიკა და მართვის ამოცანების გადასაჭრებლად ფართოდ იყენებს რელაციური ბაზების მართვის სისტემებს [7]. მათი შემდგომი სრულყოფა მათემატიკური მოდელირების სემანტიკური პროცედურების აღმოსაფხვრებლად და ბაზების სტრუქტურების ავტომატიზებულ რეჟიმში დასაპროექტებლად – მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია.

წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია აღნიშნული პროცედურების გადაწყვეტის თანამედროვე თეორიული კონცეფცია და მისი პრაქტიკული რეალიზაცია ობიექტ-ორიენტირებული მოდელების, არსთა-დამოკიდებულების სქემების, *UML*-ტექნოლოგიის ინსტრუმენტების (*MSVisio, Software, Database-ORM/ERM*) გამოყენებით [4,5,9].

წიგნის 1-ელი თავში გადმოცემულია დასტური პროცედურების არსი და მისი გადაწყვეტის თეორიული ასპექტები და მეთოდები. შემოთავაზებულია ამ მიმართულების ფუძემდებლების, ამერიკელი, გერმანელი და სხვა ქვეყნების მეცნიერთა შედეგები.

მე-2 თავში აღიწერება კონკრეტული ამოცანები მონაცემთა რელაციური ბაზების მართვის სისტემების სტრუქტურების აგების პროცესების აგტომატიზაციისათვის. მათი გამოყენება მიზანშეწონილია მაგისტრანტებისა და მაღალი კურსის სტუდენტთა ჯგუფებთან პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად.

I თავი თმორიული ნაფილი

1.1. რელაციური ბაზების სემანტიკური პრობლემები და მათი გაფართოებული მოდელები

მონაცემთა ბაზა დისკრეტული დინამიკური სისტემაა, რომლის მდგომარეობები (რელაციები) მიეკუთვნება ფიქსირებულ მონაცემთა მოდელს. მონაცემთა მოდელი შეიძლება განვმარტოთ, როგორც ალგებრული სისტემა, რომელიც შედგება ლექსიკონური სიმრავლეების (საგნობრივი სფეროს ამსახველი სიტყვების ერთობლიობა) და მათ შორის დამოიდებულებებისაგან, რომლებზეც შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სახის ოპერაცია.

მონაცემთა რელაციური მოდელი ფორმალური მათემატიკური ობიექტია და მისი საშუალებით საგნობრივი სფეროს არაფორმალი ზებული თვისებების ასახვას მივყაროთ როგორც სემანტიკურ პრობლემამდე. იგულისხმება სემანტიკის (შინაარსის) მათემატიკური მოდელირების სკეციფიკური პრობლემები. მათი სირთულე ძირითადად განისაზღვრება მონაცემთა ბაზის რეორგანიზაციის (განხალების) პროცედურების სირთულით, სტატიკური და დინამიკური შეზღუდვების (პრედიკატების) სისწორის შემოწმებით.

შეზღუდვები, გამოხატავს მონაცემთა ბაზის მდგომარეობის (რელაციები) ზოგად, აბსტრაქტულ თვისებებს ანუ მონაცემთა ბაზის სემანტიკას. შეზღუდვების გამოხატვის ყველაზე ბუნებრივი ხერხია გამონათქვამები I-რიგის პრედიკატების ენაზე, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა ბაზის დასაშვებ მდგომარეობათა სიმრავლეს.

ამ გამონათქვამების ერთობლიობა მოდელიდან ამოსარჩევი ელემენტის სახელებთან ერთად (ატრიბუტების დასახელება) ქმნის მონაცემთა ბაზის ე.წ. სტატიკურ სქემას.

მონაცემთა ბაზა, გადადის რა ერთი მდგომარეობიდან მეორეში (რელაციური ცვალებადობა), აღწერს მონაცემთა მოდელში გარკვეულ ტრაექტორიას. ყოველი მომდევნო მდგომარეობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მის წინა მდგომარეობაზე. ამ მდგომარეობებს შორის კავშირები აღიწერება მთლიანობის დინამიკური შეზღუდვებით (პრედიკატებით), რომლებიც ქმნის მონაცემთა ბაზის ე.წ. დინამიკურ სქემას.

მთლიანობის პრედიკატების ცოდნის საფუძველზე, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ფუნქციონალური დამოკიდებულებები შეადგენს, ხდება სინამდვილის (საგნორივი სფეროს) მოდელირება ნორმალურ ფორმათა თეორიის საშუალებით. ფორმირდება მონაცემთა ბაზის სქემა, რომელიც ამ დამოკიდებულებათა სასრულ ერთობლიობას შეადგენს. მაგრამ ფუნქციონალური დამოკიდებულებები ასახავს სინამდვილის შინაარსობრივი მხარის მხოლოდ ნაწილს; მონაცემთა ბაზის მოდიფიკაცია კი სემანტიკური ბუნების მატარებელია. აქედან გამომდინარე, არაა ცხადად წარმოდგენილი, თუ როგორ შეიძლება დამოკიდებულებათა ნორმალიზაციის სინტაქსური პროცედურებით გადაწყდეს სემანტიკური პრობლემები?!

საგნობრივი არის სტრუქტურისა და კანონზომიერებების მათემატიკური მოდელირებისას რელაციურ მოდელში გამოიყენება სიმრავლეთა თეორიის ელგმენტები. ამიტომ ისმის კოთხვა, რამდენად შეესაბამება მონაცემთა ბაზაში ფორმალურად ასახული ცნებები სიმრავლეთა თეორიის ცნებებს (ტერმინოლოგიის მათემატიკური სიზუსტის თვალსაზრისით).

რელაციური ბაზა გამოიხატება დამოკიდებულებათა ქვესქემების ერთობლიობის საშუალებით, ე.ი. გვაქვს რელაციების (ცხრილების) ერთობლიობა, რომელიც ასახულია ობიექტი (R_i), მათი თვისებები (A_j), კონკრეტული ურთიერთკავშირებით (Z_k). კონკრეტული საგნობრივი სფეროდან გამომდინარე, რელაციური მოდელის აგების დროს ობიექტები, თვისებები და მნიშვნელობები შინაარსობრივად ურთიერთშენაცვლებადია, ე.ი. არ არსებობს მოდელირების საბოლოო ცალსახა ალგორითმი ამ საკითხის გადასაწყვეტილად. ამასთანავე, რელაციური ბაზის მოდელში არაა ასახული ობიექტებს შორის კავშირების სემანტიკა. ხშირად კი, შინაარსობრივად ერთი და იგივე თვისება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სინტაქსურად განსხვავებული ფორმებით (სინონიმები). სისტემას კი სჭირდება დამატებითი ინფორმაციული საშუალებები, რათა ეს მომენტები გაითვალისწინოს.

ჩვენ შემოვიფარგლეთ ზოგიერთი ძირითადი პრობლემური საკითხების ანალიზით, რომლებიც დამახასიათებელია რელაციული მოდელებისათვის. შეიძლება აღინიშნოს, რომ ასეთი პრომბლემების გადაჭრა შესაძლებელია როგორც რელაციური მოდელის შედარებით გართულებით (დამატებითი ინფორმაციის შემოტანით), ასევე პროგრამული და აპრატული საშუალებების სრულყოფით მომავალში.

რელაციური მოდელების სემანტიკური ანალიზი ფუნდამენტურად ჩაატარა ე-კოდმა და თავის ნაშრომში გადმოხცა ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც დამატებული უნდა იყოს რელაციურ ბაზაში. მისი აზრით სისტემა უნდა გაფართოვდეს ახალი ცოდნის დედუქციური გამოყვანის საშუალებებით არსებული ფაქტების საფუძვლზე. იგი მნიშვნელოვნად თვლის აგრეთვე მონაცემთა ბაზის დამოკიდებულებებისა და მათი ძირითადი სტრუქტურების ეკრანზე გამოტანის გრაფიკულ საშუალებათა არსებობას, რაც აღამიანისთვის ფსიქოლოგიურ კომფორტს ქმნის. დასასრულ, მან აღნიშნა, რომ რელაციურ მოდელთა შემდგომი განვითარება უნდა მოიცავდეს დროის ასახვის საკითხესაც.

ახლა განვიხილოთ ზოგიერთი ე.წ. „სემანტიკურად გაფართოებული“ რელაციური მოდელი, რომელიც რეალიზებულია ზემოაღნიშნული მოსაზრების საფუძვლზე.

რელაციური მოდელის სემანტიკური გაფართოების საშუალებით კორტეჯი ხდება შედარებით ინფორმატიული, ვინაიდან იგი წვეულებრივ სალაპარაკო ენის სტრუქტურას მოიცავს. ე.ი. ამ შემთხვევაში წინადადების თითოეულ სიტყვას (არსებოთ სახელს, ატრიბუტს და მის მნიშვნელობას) აქვს თავისი როლი: სუბიექტი, ობიექტი, დამატება და ა. შ., გამოკვეთილია აგრეთვე მოქმედება (შემასმენელი), რომელიც ერთგარად სხინის დამოკიდებულების ატრიბუტთა ურთიერთობითაც უნდა მოიცავოდეს.

12. კატეგორიული მიღებობა მონაცემთა ბაზებში და ობიექტ-ორიენტირებული ER-სქემის აგვა

12.1. ძირითადი ცნებები

კატეგორიები, რომლებსაც აქ ვიხილავთ, არის ლოგიკური გრამატიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც, როგორც ზოგადი ენის საძირკველი, ბევრად მდიდარია, ვიდრე ტრადიციული პრედიკატების ლოგიკა და რომელიც ცხადია დამოუკიდებელი უნდა იყოს ბუნებრივი ენის ემპირიული გრამატიკისგან.

პრედიკატების ლოგიკა არის ლოგიკური გრამატიკა დანართების შინაარსის ასაგებად, მაგრამ ძალზე დარიბია და ნაკლებად განვითარებული - იგი არ ფლობს სინტაქსურ კატეგორიებს, რათა განასხვავოს ერთმანეთისგან მთავარი და არამთავარი პრედიკატები.

სალაპარაკო ენის წინადადება „ფიდო არის ყავისფერი ძაღლი“ პრედიკატების ენაზე ჩაიწერება ასე:

ფიდო ე ძაღლი ^ ფიდო ე ყავისფერი

ე-აღნიშვნა პრედიკატების ლოგიკაშიც და ზოგად ლოგიკურ ენაშიც არის კოპულა (კავშირი), ანუ დამხმარე საშუალება ენაში ასახვისათვის, რათა პრედიკატი (შემასმენელი) შეუსაბამოს არსს (საგანს, ობიექტს).

პრედიკატიზაცია არის ასიმეტრიული. კოპულას (ე) მარცხნივ ზის საკუთარი სახელი (ფიდო) ან მახასიათებელი (აღნიშვნა). მარჯვნივ ზის პრედიკატორი (არსის დასახელება – განსხვავებული გამოსახულება).

საკუთარი სახელები და მახასიათებლები არის ნომინატორები. ამგვარად, ნომინატორები, კოპულა და პრედიკატორები არის სამი კატეგორია, რომლებიც დასაწყისში შემოვიწანეთ.

Categorien(Nominatoren, Prädikatoren, Kopula)

განსხვავება მთავარ და დამხმარე პრედიკატორებს შორის პრედიკატულ ლოგიკაში წაშლილია, ვინაიდან პრედიკატულ-ლოგიკური გამოსახულება შეიძლება გულისხმობდეს წინადაღებას „ფიდო არის ძაღლური ყავისფერი“

„ფიდო ე (ყავისფერი) (ძაღლი)“, სადაც ყავისფერი დამხმარე და ძაღლი მთავარი პრედიკატორია.

ელემენტარულ წინადაღებაში (მარტივ გამონათქვამში) შეიძლება იყოს ერთი მთავარი და რამდენიმე დამხმარე პრედიკატორი, აქ ლოგიკური კავშირი არაა.

სინტაქსური კატეგორიები, არსებისა (ობიექტების) და მოქმედებისგან (ოპერაციების) განსხვავებით პრედიკატულ ლოგიკას არ გააჩნია.

გამონათქვამიდან: „ფიდო დარბის“ გვექნება „ფიდო ე მორბენალი“, ან დამხმარე პრედიკატორით: „ფიდო დარბის სწრაფად“ ვდებულობთ:

„ფიდო ე სწრაფი ^ ფიდო ე მორბენალი“.

მნიშვნელოვანია, რომ აქტიური კომპონენტები განვასხვოთ სუფთა ობიექტებისაგან (არსებისგან).

გამოსახულებაში: „ფიდო π სირბილი“ ან „ფიდო π (სწრაფი)(სირბილი)“ მოქმედების კოპულით π (კეთვბა-tun) ნაჩვენებია, რომ მთავარი პრედიკატორის სახით გამოდის მოქმედების პრედიკატორი და არა ობიექტის პრედიკატორი.

ლოგიკურ გრამატიკაში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, არსებობს π-კოპულას შემდეგ ასევე მხოლოდ ერთი მოქმედების

პრედიკატორი, ვინაიდან რამდენიმე მოქმედება ერთდროულად ელემენტარულად ვერ შესრულდება.

რთული წინადაღება, მაგალითად, რამდენიმე მოქმედების პრედიკატორით π-ს შემდეგ, მიიღება მარტივი წინადაღებების ლოგიკური ნაწილაკით შეერთებით.

პრედიკატული ლოგიკა უნდა განვიხილოთ, როგორც ლოგიკური გრამატიკის გაფართოება.

კითხვა, თუ როგორ ამუშავებენ ელემენტარულ წინადაებებში რამდენიმე პრედიკატორ-არსებობის ერთი ε ან π კოპულას საშუალებით, შემდგომი მსჯელობის საგანია.

ლოგიკურ გრამატიკაში ჩვენ ვიყენებთ ლორენცის [21] მოსაზრებას.

მაგალითად, წინადაღება: „მიულერი იღებს დეტალს საწყობიდან“.

დეტალი - პირდაპირი ობიექტია, რომელზეც მიუთითებს მოქმედების პრედიკატორი „იღებს“. პირდაპირ ობიექტს შეიძლება მოჰყვეს ირიბი ობიექტი, მაგალითად, „საწყობი“, რომელიც ადგილის გარემოებაა. იგი აღნიშვნა ანუ მახასიათებელია, რომლისთვისაც შეიძლება ჩაისვას საკუთარი სახელი (მაგალითად, ავრორა). დაიწერება „ავრორა = i საწყობი“, სადაც = არის განსაზღვრების ნიშანი, ხოლო Jota (i) არის მახასიათებლის ნიშანი.

ელემენტარული წინადაღება ჩაიწერება ასე:

| | | | | |
|-------------------|-----------------------------|---------------------------|---------------------|-------------|
| მიულერი | π | (აღება) | (დეტალი) | (i საწყობი) |
| [ნომინა- ტორი] | [მოქმედების პრედიკატორი] | [ობიექტის პრედიკატორი] | [მახასია- თებლი] | [თებელი] |

აქმდე განხილულ კატეგორიებს:

- ნომინატორი – პრედიკატორი;
- მთავარი პრედიკატორი – დამხმარე პრედიკატორი;
- ობიექტის პრედიკატორი – მოქმედების პრედიკატორი;
- არის კოპულა (ε) – კეთების კოპულა (π)

ლოგიკურ გრამატიკაში ემატება შემდეგი მნიშვნელოვანი კატეგორიები, რათა შესაძლებელი იყოს კონცეპტუალური სქემის მეთოდურად აგება [22].

ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნება უპირველეს ყოვლისა მსჯელობა ლოგიკური ენის დონეებზე, ანუ დიფერენცირება

კონკრეტულ და **აბსტრაქტულ** დონეებზე და მათ ობიექტებზე (ტიპების დონეზე).

შემოიტანება აგრეთვე კატეგორია „მთელი-ნაწილი“;

სქემების აგებისას დრო (ან დროის პუნქტი) არის ჩვეულებრივი პრედიკატორი, რომელიც „მანამ“, „შემდეგ“ და ა.შ. მიეთითება ორადგილიან პრედიკატორში „x, y ε before“ ან „x, y ε after“.


ამგვარად, შემოიტანება კიდევ შემდეგი კატეგორიები:

- აბსტრაქცია – კონკრეტიზაციის: (ენის სხვადასხვა დონეზე მისაღწევად);
- კომპოზიცია – დეპომპოზიციის: „მთელი - ნაწილი“;
- ობიექტების ენა – მეტაენა: ობიექტების ენა ერთი ენაა (I დონე, მაგალითად, ინგლისური) რომლის შესახებაც საუბრობენ მეტაენაზე (II დონე, მაგალითად, ქართული);
- სქემის დრო - მიმართვის (ათვლის) დრო.

სქემის დროსთვის იყენებენ ტერმინს „ინტენსიონალი“ (შინაარსი) და მიმართვის დროსთვის „ექსტენსიონალი“ (მოცულობა).

„ობიექტი“ არის ყველაზე მეტად განზოგადებული პრედიკატორი და არ გამოდგება განსხვავებულობის შესადარებლად. ესაბამის მთავარი სახელის ქვეშ მოქცეული მნიშვნელობები. მიღებულია ობიექტის სინონიმად „არსი“-ს გამოყენება (thing – entity). ამგვარად, ობიექტი ხასიათდება არსით და მოქმედებით (ქცევით – action).

Object



ნაზ.1.1.

წინადადება: „მოქმედებები არის ობიექტები“ არაბუნებრივია, ვინაიდან ხშირად არსი აღიქმება ობიექტად და არა მოქმედება.


პრედიკატორ „ობიექტის“ უნივერსალობა დგება ეჭვის ქვეშ. თუ „ობიექტის“ მაგივრად გამოიყენება „არსი“, მაშინ გამონათქვამი „Actions are entities“ – ნორმალურად აღიქმება (ინგლისულ-ამერიკულების მიერ). რჩება შეკითხვა: ტერმინი „ობიექტორიენტებულობა“ ნიშნავს მხოლოდ „არს-ორიენტებულობას“, თუ ასევე „მოქმედება-ორიენტებულობასაც“ ?.

დღეისათვის „მოქმედების“ (action) ნაცვლად იყენებენ ტერმინს მოვლენა (event). განმეორებად მოვლენათა ერთობლიობას უწოდებენ პროცესს (process).

ტერმინი „პროცედურა“, „მეთოდი“ არის ოპერაციათა სხვა ტაქტი. ინფორმატიკაში მისთვის მიღებულია ტერმინი „ყოფაქცევა“ (behavior). ამგარდ, მუ-9 კატეგორია:

არსთა სქემა - ყოფაქცევის სქემა (ერთად აღებული არის ობიექტის სქემა, ანუ არსთა დამოკიდებულების მოდელი). მონაცემთა და პროცესთა გამოცხადება (declaration) მათი განმეორებადი გამოყენების მიზნით ამის ტიპური მაგალითია.

განვიხილოთ მაგალითი არსთა და ყოფაქცევის სქემისთვის „კვადრატი“. ქვევის სქემისთვის მოიცემა კვადრატის კლასიკური კონსტრუქცია (ნახ.12).



არსის სქემისთვის კი გამოიყენება რელაცია „პგადრატი“ რელაციური მოდელის მიხედვით.

- ობიექტის სქემა: კვადრატი.

- ქვევის სქემა:

კონსტრუქცია-კვადრატი Θ და φ -თი.

| | |
|---|--|
| $g_1 = \Theta \sqcup \varphi;$ $g_2 = \Theta \dashv g_1;$ $g_3 = \varphi \dashv g_1;$ $g_4 = g_1 * g_2;$ | $g_5 = \varphi \dashv g_4;$ $P_6 = g_2 \cap g_5;$ $P_7 = P_6 \dashv g_3;$ $P_8 = g_3 \cap g_7;$ |
|---|--|

- არსთა სქემა: რელაცია-კვადრატი Theta და φ ელემენტებით, როგორც პირველადი გასაღებებით (ნომრნატორები):

Quadrat (ტე, P₆, P₈, სიბრტყეთა შინაარსი, ფერები, ...)

END კვადრატი.

აღნიშვნები:

- Θ=(x₀, y₀) და φ=(x₁, y₁) - ორი წინასწარმოცვემული წერტილია;

- P₆=(x₆, y₆), P₈=(x₈, y₈) - ორი აგებული წერტილი;

- \square - შემაერთებელი წრფე ;

- \neg - ორთოგონალური შეერთება ;

- * - კუთხის გამყოფი (ბისექტრისა);

- \cap - გადაკვეთის წერტილი.

ობიექტები სქემის აგების უმაღლესი მიზანია სისრულე (სიზუსტე), ანუ ეკელაფერი, რაც ეპუთვნის ობიექტებს, უნდა იქნეს აღწერადი როგორც არსთა-სქემა და მისაწვდომი ქცევის-სქემისთვის.

ზემოთ განხილული სქემა არაა სრული, ვინაიდან მასში არაა წარმოდგენილი ოპერაციები გაფერადებისა და სიბრტყეთა განსაზღვრისათვის.

ლოგიკური გრამატიკა, რომლის ნაწილიცაა პრედიკატების ლოგიკა, არის ზოგადი სპეციფიკაციების მედიუმი (საკომუნიკაციო საშუალება).

ამოსავალი წერტილია – ამოცანის დასმის წარმოდგენა, პროექტი ტექნიკურ დავალებათა შესახებ (ან მოვალეობათა რეეული). საბოლოო წერტილი (მიზანი) – მოქნილ ანგარიშთა სისტემა (დანახარჯების) მაღალი გკონომიურობით. მათ შორის გზის აღწერა არაა მარტივი.

ამ საკითხების გადაწყვეტა ფილოსოფიურ სფეროს ეხება, რომელიც ენასთან და შემცენებასთანაა დაკავშირებული. ამ სფეროში ნაშრომები ეპუთვნის კანტს, რომელმაც პირველმა შემოიტანა განსხვავება სქემასა და მის გამოსახულებას შორის. ფრეგემ შემოიტანა აბსტარაქტული თეორია და პრედიკატების ლოგიკა. რასელმა და ფრეგემ შექმნეს აღნიშვნათა თეორია. კარნაპმა განავითარა „ინტენსინალ-ექსტენსიონალობის“ თემა და ა.შ..

ჩვენი ამოცანაა აღნიშნული თემის გამოყენება ინფორმატიკის ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების სფეროში, პერძოდ მონაცემთა ბაზებსა და დაპროგრამებაში.

1.3. მეთოდოლოგია

1.3.1. მოთხოვნილებათა არაფორმალიზებული წარმოდგენა (ტექნიკური დავალება)

ახალი დანართის (აპლიკაციის) აგება ხორციელდება ცნობილი, უკვე არსებული საშუალებებით, რათა შესაძლებელი გახდეს ახალი ინსტრუმენტის კონსტრუირება. როცა პროგრამულ უზრუნველყოფაზეა დებატები, ამ შემთხვევაში ყოველთვის ენის საშუალებებს გულისხმობენ. მაგალითად, არცერთი პროგრამისტი დღეს არ წერს პროგრამის უკვე არსებულის გამოყენების გარეშე.

Software Engineering ცნობილია “value-added” ტერმინით (იგულისხმება მომგებიანი ინფრასტრუქტურა). იგი ითვალისწინებს მთლიანის აგებას ბიჯურად (ნაწილ-ნაწილ). მეთოდოლოგიაში (ანუ ბიჯურ ტექნოლოგიაში) წესები ახალი საშუალებისათვის შემოიტანება ისეთი, რომლებიც უკვე განსაზღვრული იყო ადრე-ვინაიდან მონაცემები, უკვე არსებულ საშუალებათა შესახებ ტექნიკურ დავალებაში აყენებს ახალ ამოცანებს, ამიტომაც პროექტის აგების მეთოდური დაწყება უნდა იქნას გამოკვლეული. აქ იგულისხმება ტექნიკური დავალება, კატეგორიები და კრიტიკის უნარი (ხელოვნება განსხვავებათა შესახებ).

განვიხილოთ მაგალითი: მანქანების ქარხანაში შეკვეთების დამუშავება. ციტატა ტექნიკური დავალებიდან: „შეკვეთების დამუშავება გულისხმობს ახალი შეკვეთის ბარათების დაფიქსირებას (შეტანას სისტემაში) და უკვე შესრულებული შეკვეთების წაშლას სისტემიდან. შეკვეთაზე ბრძანების მომზადების წინ გამოკვლეული უნდა იქნას, თუა წესრიგში შემკვეთის საკრედიტო მონაცემები და შეკვეთაში მითითებული ნაწილები (დეტალები) თუ შეესაბამება ქარხნის (კონტრაქტის) დასაშვებ ვარიანტს (დეტალების სიას) . . .“.

ჩვენი ამოცანაა ლოგიკური გრამატიკის გამოყენებით აღნიშნული ტექსტის რეკონსტრუირება (სტრუქტურის შეცვლა) ენის-კრტიკული თვალსაზრისით. ანუ უნდა ავაროთ (დავაპროგებოთ) კონცეპტულური ობიექტური სქემა ახალი მოთხოვნებისათვის. ამავე დროს უნდა გამოვიყენოთ არსებული საშუალებანი. პრობლემას სამეცნიერო დასაწყისისათვის „უკვე არსებულის“ მიხედვით, სამეცნიერო ისტორიას აქვს დიდი სწნის ტრადიცია.

13.2. პირველი ობიექტები მთავარ პრედიკატებში

ტექნიკური დავალება არის არაფორმალიზებულად გადმოცემული ტექსტი. კატეგორიული განხილვა, ანუ ტექნიკური დავალების ენის-კრიტიკული (ანალიზი) რეგონსტრუირება (სპეციფიცირება) მოიცავს კომალექსურ პრობლემას.


I-ბიჯის ამოცანაა ტექნიკური დავალებიდან მთავარი გამონათქვამების გამოყოფა. რა არის მთავარი გამონათქვამი? ეს დამოკიდებულია მიზნის დასმაზე ამოცანისათვის. ჩვენ გვაინტერესებს გარკვევა, მაგ., შეკვეთების დამუშავების ამოცანაში „საზღვარგარეთელი კლიენტი“ და არა „კლიენტური საზღვარგარეთელი“. აქ „საზღვარგარეთელი“ არის არა-მთავარი (!) პრედიკატორი, ვინაიდან ჩვენ არ ვიხილავთ მოქალაქეთა ცნობათა ბიუროს ამოცანას.

მთავარი პრედიკატები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, არის: დეტალი, კლიენტი, შეკვეთის-დრო (*PART, CLIENT, TIME*) და ა.შ. (ისინი ჩაიწერება ინგლისური დიდი ასოებით *PART, . . .*) მათ გარეშე პრობლემა არ გადაწყვდება. მთავარ პრედიკატორებს საწყის ფაზაზე აქვს ბირთვის (საწყისის) მნიშვნელობა.

| PART | CLIENT | TIME |
|------------|------------|------------|
| ϵ | ϵ | ϵ |
| x | y | z |

ნახ.13.

კატეგორიალური თვალსაზრისით უნდა უკოს მოფიქრებული, რომ ჩვენ ვიმუოფებით სქემის-დროში (schema-time) და არა მიმართვის-დროში (referent-time). მაგალითად, „მიულერი ϵ კლიენტი“ - ეს არაა განზოგადება, პირიქით „y է კლიენტი“ არის y-ნომინატორული ცვლადით უკალა შემთხვევისთვის განზოგადებული. მიულერი მხოლოდ კონკრეტულ მომენტში გააქტიურდება. ე. ი. y – ხდება მიულერი.



ნახ.1.4.

აქ x, y და z აღიწერება როგორც ცვლადები, ზოგადად და მიმდინარე დროში (გააქტიურებისას) მიიღებს კონკრეტულ მნიშვნელობას. სისტემაში მთავარი პრედიკატები მიიღება ჩანაწერის დამატებით აღნიშვნით, რომლებიც სქემაზე გამოისახება PNR, CNR, DATE და ა.შ.

1.3.3. აბსტრაქცია – ენის ლოგიკური პროცესი

ამ შემთხვევაში შეისწავლება ენის ლოგიკური პროცესის აბსტრაქცია. მაგალითად, ენაში სისტემების (ერთნაირი მნიშვნელობების) არსებობა [CLIENT და CNR].

შემოიტანება „=>“ წესის ისარი, რომელიც ნიშნავს, რომ თუ მოცემულია მარცხენა მხარე (გამონათქვამი), მაშინ მარჯვენაც მართებულია:

$$y \in \text{CLIENT} \Rightarrow y \in \text{CNR}$$

$$y \in \text{CNR} \Rightarrow y \in \text{CLIENT}.$$

მეორე მაგალითი: „ს ურეკაგს კლიენტს“, ჩაიწერება
 $s \pi$ (დარეკვა)(CLIENT).

მაგრამ ცოტა უხერხეულია თქმა $s \pi$ (დარეკვა)(KNR).

თუ $A_R(X)$ გამონათქვამის ფორმაა, სადაც R დასაშვებია და X პრედიკატორთა ცვლადებია, მაშინ შეიძლება $A_R(\text{CLIENT})$ ან $A_R(\text{CNR})$ ჩაწერის ფორმის შემოდგება. ორადგილიანი რელაციის ρ -ს შემოტანით A_R -ის მაგიერ:

$$(\text{CLIENT}) \rho (\text{CNR}) \rightarrow (A_R(\text{CLIENT}) \leftrightarrow A_R(\text{CNR})).$$

CLIENT და CNR ურთიერთჩანაცვლებადია (არ იცვლება ჰეშმარიტება გამონათქვამისა $A_R(X)$).

ρ-აბსტრაქციის თვალსაზრისით არის ეკვივალენტობის რელაცია, რომლისთვისაც სამართლიანია რეფლექსურობის, სიმეტრიულობის და ტრანზიტულობის თვისებები.

განვიხილოთ ექსტენსიონალური აბსტრაქცია მონაცემთა ტიპების მაგალითზე. მოცემულია ორი x და y ცვლადი. უნივერსალობის კვანტორით ჩაიწერება:

$$\forall_{x,y} x \sim_B y \rightarrow (A(x) \leftrightarrow A(y)).$$

სამართლიანია გამოსახულება:

$$\tau x = \tau y = \forall_A (A(x) \leftrightarrow A(y)).$$

ეკვივალენტობის რელაცია \sim_B არის დამუშავების თვალსაზრისით თანაბარი. τ -აბსტრაქტორია ტიპებისთვის, როგორც მაგ., \in - სიმრავლისთვის.

ტიპების სტანდარტული პრედიკატორებია: int, float, char და ა.შ.


1.3.4. მთავარიდან დამხმარე პრედიკატებისკენ

საგნობრივი სფეროს მოდელირებისას კატეგორიული მიდგომის საფუძველზე საჭიროა ძირითადი და დამხმარე პრედიკატორების გამოვლენა. მათი ასეთი დაყოფა დამოკიდებულია ამოცანის დასმაზე ტექნიკურ დავალებაში. ზოგადად, მეთოდიკაში ჯერ მთავარ, შემდეგ კი დამხმარე პრედიკატორებს გამოყოფენ. ეს უკანასკნელი მოდელში აღწერს ობიექტის არამთავარ, ანუ დამატებით მახასიათებლებს.

მაგალითად, წინადადებაში „დეტალს აქვს ხის-ნაწილი“, შემოიტანება ახალი ს-კოპულა, რომელიც „აქვს“ ოპერაციას ასახავს. ამგვარად, გვექნება:

„დეტალს ს ხის-ნაწილი“.


წინა პარაგრაფში განხილული სქემა, ამჯერად დამატებითი პრედიკატორებით გაფართოების საფუძველზე შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



ნახ.1.5

სადაც დამხმარე პრედიკატორებია: MATERIAL-მასალა, WEIGHT-წონა და LOCATION –საწყობის მდებარეობა.

თუ საწყობს განვიხილავთ როგორც მთავარ პრედიკატორს, მაშინ მისთვის სხვა დამხმარე პრედიკატორები გაჩნდება, მაგ., ნახაზი 1.6.



ნახ.1.6

დამხმარე პრედიკატორების საშუალებით პრედიკატული სქემის გაფართოების პროცესს ლიტერატურაში მოიხსენებენ „აგრეთვე რელაციური სქემის სახით. ესაა მონაცემთა რელაციური ბაზის კონცეპტუალური სქემის საფუძველი. დამხმარე პრედიკატორების გამოყენებას კავშირი აქვს მონაცემთა ნორმალიზაციის თეორიასთან, კერძოდ ესაა წესების სისტემა დამხმარე პრედიკატორების შედგენილობის განსაზღვრისათვის.“

რელაცია, ჩვეულებისამებრ თეორიაში განიხილება როგორც ატრიბუტთა (დამხმარე კატეგორიების) დეპარტული ნამრავლი:

PART \subseteq PNR x MATERIAL x WEIGHT x LOCATION


რელაციები – მრავალადგილიანი სიმრავლეებია, რომლებიც ერთადგილიანი სიმრავლეებისგან, ანუ კლასებისგან განსხვავდება. რელაციები და კლასები, ანუ სიმრავლეები კონსტრუქციულად აბსტრაქციის საფუძველზე ობიექტის მდგომარეობათა მოწესრიგებულ-კორტექთა ერთობლიობაა (ნახ.1.7).

PART

| <i>PNR</i> | <i>MATERIAL</i> | <i>WEIGHT</i> | <i>LOCATION</i> |
|------------|-----------------|---------------|-----------------|
| 123 | ფოლადი | 24,5 | თბილისი |
| 124 | X3 | 10,25 | ბათუმი |
| 135 | პლასტმასი | 27,55 | თბილისი |
| ... | ... | ... | ... |

ნახ.1.7.

შეიძლება ჩაიწეროს: „ $x \in \text{MATERIAL}$ “, „ $10,25 \in \text{WEIGHT}$ “ და ა.შ. დამსმარე პრედიკატორების შიგნით, იერარქიული თვალსაზრისით, ჩნდება მთავარი პრედიკატორები (ნახ.1.8):



ნახ.1.8

ასეთი სქემა აღარაა ელემენტარული. ზოგიერთი დამსმარე პრედიკატორი ლოგიკურად შეიძლება კონიუნქციის სახით ჩაიწეროს:
 $x \in (y_1)(\text{PART}) \wedge x \in (y_2)(\text{PART})$.


13.5. აპსტრაქცია – განზოგადება

საგნობრივი სფეროს აღწერისას ხდება მისი ობიექტების კლასიფიკაცია, მათი დაყოფა და მოწესრიგება (კლასი, ქვეკლასი და ა.შ.). ანუ ხდება გარკვეული სუბორდინაცია, კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე ასვლა გარკვეული მემკვიდრეობითი ოვისებების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით განიხილება სახეობათა (ქვეკლასის) პრედიკატორები და კლასის (სუპერკლასის) პრედიკატორები.

მაგალითად, საპრობლემო სფეროსთვის „პროდუქციის წარმოება“ არსები პლიმბი (პროდუქციის მყიდველი - CLIENT) და მიმწოდებელი (ნედლეულის მიმწოდებელი - SUPPLIER) შეიძლება შეესაბამებოდეს სახეობათა პრედიკატორებს, მაშინ მათვთვის უფრო განზოგადოებული ცნება ღარმოშპის–პარტნიორი (PARTNER) იქნება კლასის პრედიკატორი, რომელიც ორივეს მოიცავს (ნახ.2.9).

$$\wedge_x x \in \text{CLIENT} \rightarrow x \in \text{PARTNER}$$

$$\wedge_x x \in \text{SUPPLIER} \rightarrow x \in \text{PARTNER}$$



ნახ.19

ახალი ცნებების შემოტანა ასევე ლოგიკური კავშირების გამოყენებითაა შესაძლებელი. მაგალითად, კლიენტი ანუ დამკვეთი არის ამავე დროს მიმწოდებელიც. ეს ნიშანას, რომ პროდუქციის მწარმოებელი ფირმა, ერთის მხრივ უკვეთავს ნედლეულს სხვა ფირმას (არის დამკვეთი) და მეორეს მხრივ, ის ამზადებს პროდუქციას და მიაწვდის კლიენტს (არის მიმწოდებელი). ასეთი წესები შეიძლება ლოგიკურად ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$\wedge_x x \in C \vee x \in P \rightarrow x \in S,$$

$$\wedge_x x \in C \wedge x \in P \rightarrow x \in S,$$

სადაც \vee - ლოგიკური დიზიუნქცია, ხოლო \wedge - ლოგიკური კონიუნქცია.

ამგვარად, აბსტრაქცია ახალი ობიექტების შემოტანის ერთ-ერთი გზაა კლასიფიკაციის სისტემაში, რომლის საფუძველსაც მემკვიდრეობითობის თვისებები წარმოადგენს კლასებს შორის.

1.3.6. მერყოლოგიური სტრუქტურები

გარდა ამისა არსებობს ობიექტების და კლასთაშორის კავშირების ასახვის მეორე გზაც, რომელსაც მერყოლოგიურს, ანუ „მთელი-ნაწილი“-დამოკიდებულების ლოგიკას უწოდებენ. აქ უკრადღება მახვილდება სტრუქტურულ შედგენილობაზე, ანუ აგრეგაციაზე. მაგალითად, პროდუქცია შედგება სხვადასხვა ნაწილისგან.

„მთელი-ნაწილი“-დამოკიდებულებათა ლოგიკის ფუძემდებელია პოლონელი მათემატიკოსი ლეზნიევსკი (1916 წ.) პრედიკატულ-აბსტრაქტული ლოგიკისგან განსხვავდებით, რომელიც მაგალითად, რასელის „მათემატიკის პრინციპებიდანაა“ ცნობილი, მერყოლოგიური ენა „მთელი-ნაწილი“-რელაციასთან (\subseteq) ერთად ცნობს მხოლოდ კატეგორიებს: „სახელი“ და „გამონათქვამი“.

მთელი/ნაწილი – რელაცია ($x \leq y$, x არის y -ის ნაწილი) სამართლიანია მხოლოდ ლოგიკური ტიპისათვის, როგორც ნაწილისთვის და განსხვავდება ელემენტი/სიმრავლე – რელაციისაგან \in , რომელიც პრედიკაციასა და აბსტრაქციას ითვალისწინებს. ობიექტებისათვის არსებობს სახელები, რომლებიც როგორც კონსტანტები ან ცვლადებია შედგენილ ობიექტებში.

მაგალითად, გამონათქვამი „123 ε CLIENT“ (123 არის კლიენტი) შეიცვლება მერყოლოგიური თვალსაზრისით გამონათქვამით „123 ≤ CUSTOMERS“, „123 არის ნაწილი კლიენტურისა“. აქ „კლიენტურა“ შედგენილი ნაწილების სახელია.

$$\text{CUSTOMERS} = t_z \wedge_x x \leq z.$$

ყველა x , რომლებიც ერთტიპური z -ის ნაწილია, არის CUSTOMERS.

ჩვენ განვიხილეთ ორი ლოგიკა: პედიკატულ-აბსტრაქტული და მერყოლოგიური.

პედიკატულ-აბსტრაქტული ლოგიკა ცნობს ორი სახის ობიექტებს, კონკრეტულებს და აბსტრაქტულებს. მას ასევე რეალისტურ ლოგიკასაც უწოდებენ.

მერეოლოგია არის ნომინალიზმის ლოგიკა (ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც უარყოფს ზოგადი ცნებების არსებობას). მისი კონცეფციით არსებობს მხოლოდ კონკრეტული ობიექტები და მათი სტრუქტურები. მათ შეესაბამება სახელები და გამონათქვამები.

ინფორმატიკოსებისათვის ელემენტარული გამოსახულებანი:

$$x \in P \text{ და } x \leq P$$

უნდა ჩავთვალოთ დუალურად.

ნომინალისტ-ინფორმატიკოსები სააზროვნოდ იყენებენ სისმაგვარ სტრუქტურას, რომელიც x -შვილი- და y -მშობელი კვანძებისგან შედგება, სადაც სამართლიანია: $x \leq y$.

\leq -თვის ასევე სამართლიანია შემდეგი წესები:

- რეფლექსურობის: $\wedge_x x \leq x$.

- ტრანზიტულობის: $\wedge_{xy} (x \leq y \wedge y \leq z \rightarrow x \leq z)$

- $\langle s_a \rangle$ საკუთარი სახელი $= k_x A(x)$. მთელი x , რომელიც აკმაყოფილებს $A(x)$ -გამონათქვამს.

2.10 ნახაზზე ნაჩვენებია მერეოლოგიური სტრუქტურის მაგალითი პროდუქციის შეკვეთების ამოცანისათვის.

ორი უ და ρ ობიექტის წარმოებული ($u * \rho$) არის ახალი ობიექტი w , რომელსაც იგივე შედგენილობა აქვს, რაც u -ს და ρ -ს ერთად.

R-შეკვეისათვის ლოგიკურად შეიძლება დაიწეროს:

$$R = t_p V_{y,z} \quad y \leq \rho \wedge_x z \leq \rho.$$

ფაქტიური შეკვეისათვის $u * \rho - \langle \text{წარმოებულისთვის} \rangle$ იქნება:


$$u * \rho = t_w \wedge_r (r \leq w) \longleftrightarrow (r \leq u \wedge r \leq \rho).$$

დამხმარე ცვლადი ი ჩვენს შემთხვევაში აირჩევა ისე, რომ r -თავისუფალ ცვლადებს შეეძლოთ ობიექტების მიღება მხოლოდ y და z -სგან.

w -შეკვეთას და u -შეკვეთის ფოსტას აქვს ერთნაირი CNR (y) და DATE (z).

საბურთარი სახელი W შეკვეთისათვის მაშინ მოიცემა, როდესაც $u * \rho$ პროდუქცია არსებობს.

$$W = V_{u,\rho} \quad u * \rho.$$



ნახ.1.10. მერეოლოგიური სტრუქტურის ფრაგმენტი
ამოცანისათვის „პროდუქციის შეკვეთა“

II თავი

პრაქტიკული ნაშილი (ამოცანები)

2.1.. ობიექტ-როლური მოდელირება (ORM) განაწილებული ოფის-ობიექტებისათვის

ცნობილია, რომ მონაცემთა ბაზის აპლიკაციის ხარისხი კრიტიკულადაა დამოკიდებული მის დაპროექტებაზე. ინფორმაციული სისტემების განსაზღვრა ყველაზე უკეთ კონცეპტუალურ დონეზე ხდება, სადაც გამოიყენება ისეთი კონცეპციები და ენა რომელიც ადვილი გასაგებია ადამიანისათვის. კონცეპტუალური დაპროექტება შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს, პროცესებს და ქცევით პერსონალისტებს, ხოლო მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა (DBMS) დაპროექტებისას გამოიყენებდა ცნობილი ლოგიკური მოდელებიდან (რელაციური, იერარქიული, ქსელური, ობიექტ-ორიენტირებული და ა.შ.) ერთ-ერთს.

მონაცემთა ბაზის დაპროექტება მოიცავს საპრობლემო არის ფორმალური მოდელის აგებას ანუ მისმ აღწერის (საუბრის) ფორმირებას (*universe of discourse Uod*) სათანადოდ ამის გაკეთება კი დამოკიდებულია *Uod*-ის კარგ ცოდნაზე. ობიექტ-როლური მოდელირება (ORM) ამარტივებს დაპროექტების პროცესს, იუნიტებს რა ბუნებრივ, სალაპარაკო ენას, ასევე ინტეიციურ დიაგრამებს, რომელთა შექსებაც შეიძლება მაგალითების საშუალებით და შესაძლებელია ინ ორმაციის შემოწმება მარტივ, ელექტრონულ ფაქტებზე დაყრდნობით. ვინაიდნა მოდელი გამოსახულია ისეთ ბუნებრივ ტერმინებში, როგორიცაა ობიექტი და როლი, იგი უზრუნველყოფს მოდელირების კონცეპტუალურ მიღობას[17-19].

ობიექტ-როლური მოდელირების ადრეული ვერსია 1970-იან წლებში გამოჩნდა ევროპაში. აქ აღწერილი მეთოდი დამუშავებულია ავსტრალიასა და აშშ-ში. ასოციაციური ენა *FORML (Formal Object-Role Modeling Language)* თანხმელებია *Microsoft Visio for Enterprise Architect (VEA)*-სი, რომელიც *Visual Studio.NET*-ის შემადგენელი ნაწილია.

კონცეპტუალური მოდელირება მიიღწევა არსოდ დამოკიდებულების (ER) მოდელითაც თუმცა (ER) მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ მას შემდეგ, რაც დაპროექტების პროცესი დამთავრებულია. იგი ნაკლებადაა შესაფერისი ფორმულირებისათვის, განალებასა და პროექტის შემდგომი გაფართოებისათვის. ER-დიაგრამა შორსაა ბუნებრივი ენისაგან, ვერ ხერხდება შევსება ამა

თუ იმ მოვლენის ფაქტით, დამალულია ინფორმაცია იმ სემანტიკური დომენების შესახებ, რომლებიც ქმნის მოდელს.

ამრიგად, კონცეპტუალური მოდელირების განვითარებულ ტექნიკას წარმოადგენს ობიექტ-როლური მოდელირება. სწორედ ORM-ს შეუძლია უზრუნველყოს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების შეთანხმებული მუშაობა, რომელთა მომზადების დონე ინფორმაციული სისტემების დაპროექტების სფეროში შეიძლება მნიშვნელოვად განსხვავდებოდეს.

ზემოაღწერილი მიზეზებიდან გამომდინარე, კონცეპტუალური მოდელირებისათვის ჩვენ ვირჩევთ ORM-ს. საინფორმაციო სისტემების ცხოვრების ციკლი მოიცავს რამდენიმე სტადიას: ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, მოთხოვნათა ანალიზი, მონაცემებისა და ოპერაციების კონცეპტუალური დაპროექტება; ლოგიკური დაპროექტება; გარე დაპროექტება; მაკეტირება; შიგა დაპროექტება და შესრულება; ტესტირება და შესწორების შეტანა; მომსახურება (თანხლება).

ORM-ის კონცეპტუალური მოდელირების სქემის პროცედურა (CSDP) ყურადღებას ამახვილებს მონაცემების ანალიზზე და დაპროექტებაზე. კონცეპტუალური სქემა აღწერს აპლიკაციის ინფორმაციულ სტრუქტურას: ფაქტების ტიპები, რომლებიც წარმოადგენს ინტერესის სფეროს; მასზე არსებული შეზღუდვები და შესაძლოა წარმოქმნის წესები, რათა მივიღოთ ესა თუ ის ფაქტი სხვა ფაქტებიდან.

მრავალმასშტაბიანი აპლიკაციისათვის Uod-ი ყოფს მას მოხერხებულ მოდულებად, CSDP-ს მიმართავს თითოეული მათგანი და შემდეგ ხდება მიღებული კონცეპტუალური ქვესქემების გაერთიანება ერთ გლობალურ კონცეპტუალურ სქემად. თვითონ CSDP-ი შედგება შეიძინების ბიჯისაგან. იხ. ცხრილი 1.1.

ბიჯი 1 – CSDP-ის ყველაზე მნიშვნელოვანი სტადია, სადაც ხდება სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვება, ბუნებრივ სალაპარაკო ენაზე. ასეთი ინფორმაცია ხშირად არის შემავალი და გამომავალი ფორმები, შეიძლება იყოს ხელნაწერი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოდელის დამპროექტებელი მუშაობს უშუალოდ კლიენტთან, რათა ზუსტად ჩამოყალიბდეს, თუ რა მოვთხოვება სისტემას. აუცილებელია ექსპერტის არსებობა, რომელიც იცნობს აპლიკაციას.

ცხრ.1.1.

1. ელექტრონული ფაქტების ფორმირება და მათი აღექვატურობის შემოწმება;
2. ფაქტების ტიპებისათვის დიაგრამის აგება და სისრულის შემოწმება;
3. იმ ობიექტთა ტიპების შემოწმება, რომლებიც უნდა გაერთანდეს და მათი მათემატიკური წარმომავლობის დაფიქსირება;
4. დაემატოს უნიკალურობის შეზღუდვა და შემოწმდეს ფაქტების ტიპების ოპერანდების რაოდენობა;
5. დაემატოს როლების იძულებითი შეზღუდვები და შემოწმდეს მათი ლოგიკური წარმომავლობა;
6. დაემატოს ელექტრონული, სიმრავლეთა შედარება და ქვეტიპის შეზღუდვები;
7. დაემატოს სხვა შეზღუდვები და მოხდეს საბოლოო შემოწმება.

ეს ფაქტი ასე შეიძლება ჩაიწეროს:

- f1 თანამშრომელს, ნომრით 35, აქვს გვარი ‘პეტრიაშვილი’
- f2 თანამშრომელი, ნომრით 7, მუშაობს კონტრაქტით თარიღამდე ‘12.31.06’
თოთოეული ფაქტი არის ბინარული დამოკიდებულება ორ ობიექტს შორის. მუქი შრიფტით გამოყოფილია ლოგიკური პრედიკატი, რომელიც ახდენს ობიექტების იდენტიფიცირებას ნაჩვენებია კურსივით. იმ შემთხვევაში თუ განისაზღვრება ობიექტის მხოლოდ ერთი თვისება, საქმე გვაქვს ერთადგილიან პრედიკატონ (unary fact). პრედიკატს შეიძლება პქონდეს (1,2,3,...) ოპერანდი, თუმცა რადგან პრედიკატი ელექტრონულია 3-4 ოპერანდზე მეტი იშვიათად გვხვდება. უმრავლეს შემთხვევაში პრედიკატი არის ორობითი. ასეთი პრედიკატებისათვის არსებობს ინვერსული პრედიკატი. ისე, რომ ფაქტი შეიძლება წავიკითხოთ ორივე მიმართულებით.

ბიჯი 2 – აქ ხდება ფაქტების ტიპებისათვის დიაგრამის აგება. ობიექტები გამოისახება ელიფსებით, პრედიკატები მართკუთხედებით, მნიშვნელობის ტიპი გამოისახება წყვეტილი ელიფსით. პრედიკატი იკითხება მარცხნიდან-მარჯვნივ და ზემოდან-ქვემოთ, მანამ სანამ არ შეხვდება ნიშანი “<”, რომელიც ცვლის წაკითხვის მიმართულებას საწინააღმდეგო მიმართულებით. შემდეგ ბიჯებზე ხდება შეზღუდვების დაწესება.

ORM დიაგრამაში გამოყენებული შეზღუდვები:

ობიექტის შეზღუდვები:



ობიექტი ასრულებს ზუსტად გარკვეულ როლს.

როლების დიზუნქცია არის იძულებითი. თითოეული ორიექტი მიღების ტიპის ნაკრებიდან უნდა ასრულებდეს მხოლოდ ერთ როლს.

უნიკალურობის შეზღუდვები:



ერთ ან მეტ როლში მონაწილეობა ხდება არა უმეტეს ერთხელ.



როლების გარე უნიკალურობის შეზღუდვა.


წევილის გამორიცხვის შეზღუდვა.

სიმრავლეების შედარების შეზღუდვები:


- \subseteq პირველი ობიექტის სიმრავლე ყოველთვის უნდა იყოს მეორის ქვესიმრავლე.
- $=$ პირველი ობიექტის სიმრავლე ყოველთვის უნდა იყოს მეორის ტოლი.
- \subsetneq პირველი ობიექტის სიმრავლე არ შედის მეორეში. სიხშირის შეზღუდვა.

≤ 2

ობიექტმა რამდენჯერ შეიძლება შეასრულოს ეს როლი



ბუდის ტიპის ობიექტი.




ობიექტი თამაშობს მხოლოდ ერთ როლს და ეს როლი არ არის სავალდებულო.



ქვეტიპი.
ერთი ობიექტი არის მეორის ქვეტიპი

ପ୍ରକାଶକ ଶବ୍ଦବ୍ୟାକ




| | | |
|-------------------|-------------|--|
| ანგიორევლექსურობა | <i>Oir</i> | iff for all $x, \neg xRx$ |
| სიძეგრისულობა | <i>Osym</i> | iff for all $x, y, xRy \rightarrow yRx$ |
| ასიძეგრისულობა | <i>Oas</i> | iff for all $x, y, xRy \rightarrow \neg yRx$ |
| ანგისიძეგრისულობა | <i>Oans</i> | iff for all $x, y, x \neq y \ \& \ xRy \rightarrow \neg yRx$ |
| ანგიოპრანზიზულობა | <i>Oit</i> | iff for all $x, y, z, xRy \ \& \ yRz \rightarrow \neg xRz$ |
| აკვიკსურობა | <i>Oac</i> | iff for all $x, y, z, xRy \ \& \ yRz \rightarrow \neg zR$ |

2.2. ამოკანის დასმა

განიხილება განაწილებული ოფის-ობიექტების მონაცემთა
ბაზების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირებისა და ობიექტ-
ორიენტირებული დაპროექტების ავტომატიზებული პროცესების
დამუშავების ამოცანა, რაც საგრძნობლად ამცირებს სისტემების
ინფორმაციული და პროგრამული პაკეტების აგების დროს და,
ამასთანავე ორიენტირებულია გამოყენებითი სფეროს
მომხმარებლებზე.

2.1 ნახაზე მოცემულია საპრობლემო სფეროს მოდელირებისა და მონაცემთა ბაზაში ავტომატიზებული ასახვის ამოცანის ძირთადი ეტაპებისა და მათი რეალიზაციის ინსტრუმენტული საშუალებების სქემა.

ცოდნა, რომელიც საპრობლემო სფეროს შესახებ გააჩნია მომხმარებელს, სკეციალური ინტერფეისების საშუალებით, რომელთა საფუძველს ფორმალური ენის გრამატიკის კატეგორიები და ლოგიკურ-ალგებრული მეთოდები შეადგენს, გადაეცემა ობიექტ-როლური მოდელირების კომპიუტერულ პროგრამას.



6.5b.2.1.

მისი დახმარებით აიგება სემანტიკური სტრუქტურები *ORM*-დიაგრამათა სახით. შემდგომ ეტაპზე ავტომატიზებული პროცედურების გამოყენებით ფორმირდება არსთა-დამოკიდებულების მოდელი, ანუ *ER*-დიაგრამები, ცხრილებითა და ატრიბუტებით. მის საფუძველზე ავტომატურად გენერირდება *DDL* ფაილები, რომლებიც შემდგომ სტრუქტურულად მოთავსდება *Ms SQL Server* მონაცემთა განაწილებულ ბაზაში.

როგორც აღვნიშნეთ, აქ პროცედურად ისმება, *ER*-მოდელის შესაბამისი კლასების დიაგრამის „*სტრუქტურის ოპტიმიზაციის*“ საკითხი ანუ მონაცემთა ბაზების დაპროექტების თეორიის ტერმინით - ნორმალიზაციის ამოცანა.

აქ იგულისხმება შემდეგი: უნდა განისაზღვროს თითოეული კლასის მონაცემთა ოპტიმალური სტრუქტურა (მონაცემთა მოდელი), კლასთა შორის კავშირების გათვალისწინებით და დამოკიდებულებათა რელაციების ნორმალიზაციის შეთოდების გამოყენებით.

ოპტიმიზაციის კრიტერიუმად შეიძლება განვიხილოთ რელაციური ცხრილების ინფორმაციული და ინდექსური მონაცემების მოცულობათა მინიმიზაცია, და მათთან მიმართვისა და განახლების დროის შემცირება. მონაცემთა ერთიანი ლოგიკური სტრუქტურების მთლიანობის უზრუნველყოფით (დაცვით). ამისათვის შევიმუშავეთ სპეციალური ალგორითმები.

ნაშრომი ეფუძნება *UML*-ტექნოლოგიისა და მონაცემთა ლოგიკური სტრუქტურების რელაციურ დამოკიდებულებათა თეორიის კლასიკურ საკითხებს. ასეთი ინტეგრირებული მიდგომა დასმული ამოცანის გადასაწყვეტად უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, მონაცემთა სტრუქტურების ოპტიმიზაციას ნორმალურ ფორმათა თეორიის საფუძველზე და, მეორეს მხრივ, დაპროექტების ობიექტ-ორიენტირებული პრინციპების მხარდაჭერას *Case*-ტექნოლოგიების გამოყენებით (დაპროგრამების ჯგუფური ტექნოლოგიები), რაც აქტუალური და მნიშვნელოვანი ამოცანაა.

აღნიშნული საკითხების თეორიული გადაწყვეტა და მათი პრაქტიკული რეალიზაცია ასახულია წიგნის მომდევნო თავებში.

2.3. ფაქტების მოზადება და *ORM*-დიაგრამის აგება საკონტრაქტო ამოცანისთვის

პირველ თაგში ჩვენ ზოგადად აღვწერეთ კონცეპტუალური მოდელირებისათვის *ORM*-მეთოდის გამოყენება.

საინფორმაციო სისტემების ცხოვრების ციკლი, როგორც ცნობილია მოიცავს რამდენიმე სტადიას: ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, მოთხოვნათა ანალიზი, მონაცემებისა და ოპერაციების კონცეპტუალური დაპროექტება; ლოგიკური დაპროექტება; გარე დაპროექტება; მაკეტირება; შიდა დაპროექტება და შესრულება; ტესტირება და შესწორების შეტანა; მომსახურება (თანხლება).

ORM-ის კონცეპტუალური მოდელირების სქემის პროცედურა (*CSDP*) უკადდებას ამასხილებდა მონაცემთა ანალიზზე და დაპროექტებაზე. კონცეპტუალური სქემა აღწერს აპლიკაციის ინფორმაციულ სტრუქტურას: ფაქტების ტიპები, რომლებიც წარმოადგენს ინტერესის სფეროს; მასზე არსებული შეზღუდვები და შესაძლოა წარმოქმნის წესები, რათა მივიღოთ ესა თუ ის ფაქტი სხვა ფაქტებიდან. ახლა განვიხილოთ მაგალითები.


ოფის-ობიექტებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა კონტრაქტების გაფორმება პროდუქციის დამკვეთ და მიმწოდებელ ორგანიზაციებს შორის.

განვიხილოთ ამ ამოცანისათვის შესაბამისი *ORM*-დიაგრამის აგების პროცესი. ამისათვის „პონტრაქტის დადების“ პროცედურის ტექსტური (შინაარსობრივი) ფორმიდან უნდა შევარჩიოთ და ჩამოვაყალიბოთ ფაქტების ერთობლიობა.

მაგალითად, ვფის-ობიექტზე „პონტრაქტის დადების“ ამოცანისთვის გვექნება შემდეგი ფაქტები:

- f1 - პერსონას (სუბიექტს) აქვს სახელი;
- f2 - დამამზადებელი არის სუბიექტი;
- f3 - მიმწოდებელი არის სუბიექტი;
- f4 - მყიდველი არის სუბიექტი;
- f5 - სუბიექტმა დადო კონტრაქტი პროდუქციის შესყიდვაზე;
- f6 - კონტრაქტს აქვს ნომერი;
- f7 - კონტრაქტს აქვს სახელი;
- f8 - კონტრაქტს აქვს თარიღი;
- f9 - პროდუქციას აქვს მოდელის დასახელება;
- f10 - პროდუქციას აქვს მოდელის ფასი;
- f11 - პროდუქციას აქვს მოდელის ნომერი;
- f12 - პროდუქციას აქვს რაოდენობა;
- f13 - პროდუქცია გარკვეული რაოდენობით და გარკვეული ფასით გაიყიდა კვარტალში;
- f14 - თანხა არის ფასი, გამრავლებული რაოდენობაზე.

*ORM-დიაგრამაზე გამოსათვლელი ფაქტის ტიპი აღინიშნება „**“-ით. ოფის-ობიექტზე კონტრაქტის დადების ORM-დიაგრამა ნაჩვენებია 2.2 ნახაზზე.*



ნახ.2.2. „კონტრაქტის“ ORM-მოდელის ფრაგმენტი

2.4. ORM-დიაგრამის აგება უნივერსიტეტის მაგალითზე

საუნივერსიტეტო მართვის სისტემის საპრობლემო სფეროს მაგალითზე საჭიროა მონაცემთა ისეთი განაწილებული ბაზის დაპროექტება და აგება, რომელიც მომავალში მიუკროდება ქვეყნის ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის მონაცემთა საცავს.

ასეთი საინფორმაციო სისტემის აგებისას აუცილებელია მიღებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მის შემდგომ მასშტაბირებას და განვითარებას.

თანამედროვე სტანდარტს (უნიფიცირებული მოდელირების ენას, წესებს) წარმოადგენს UML-ტექნოლოგია, ხოლო მის ერთ-ერთ გავრცელებულ ინსტრუმენტს Ms Visio.

მოცემული პარაგრაფის მიზანია ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მონაცემთა ბაზის კონცეპტუალური სქემის ასაგებად წინა პროცედურების მომზადება.

საუნივერსიტეტო მართვის სისტემის, კერძოდ მისი მონაცემთა განაწილებული ბაზის დასაპროექტებლად, როგორც ეს UML-ტექნოლოგიით მოითხოვება, საჭიროა საპრობლემო სფეროს შესწავლა და მისი ტექსტური (არაფორმალური) აღწერა, აქ არსებული მიზნების, ამოცანების, ობიექტების, ფაქტორების და სხვა ელემენტების, აგრეთვე მათი ურთიერთკავშირების დეტალური ჩამოყალიბებით.

ესაა ცოდნა სამართავი ობიექტის შესახებ, მისი სტატიკური (მდგრმარეობათა სიმრავლე) და დინამიკური (ქცევათა სიმრავლე) მოდელებით. თუ ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების ტერმინებით ვისარგებლებთ, დასმული ამოცანის გადაწყვეტის „გასაღებს“ კლასების, ობიექტების, კლასთაშორისი კავშირების, ობიექტ-როლური და არსთა-დამოკიდებულების მოდელებისა და სხვა სახის დიაგრამების აგება წარმოადგენს. ხოლო შემდეგ, კლასთა-ასოციაციებისა და არსთა-დამოკიდებულების დიაგრამათა საფუძველზე განხორციელდება მიზნობრივი სისტემის პროგრამული კოდების რეალიზაციის ავტომატიზებული პროცესი.

განვიხილოთ ეს საკითხები დეტალურად უნივერსიტეტის საპრობლემო სფეროს მაგალითზე. არაფორმალიზებული აღწერის

ობიექტებია (ტერმინთა ლექსიკონი): ფაქულტეტები, კათედრები, სტუდენტები, ლექტორები (როგორც თანამშრომლები, ისე მოწვეულები, საშტატო და სათობრივი დატვირთვით), საგნები (აკადემიური დისციპლინები), რომლებიც იკითხება კათედრებისა და სპეციალობების მიხედვით. სასწავლო გეგმები, სილაბუსები (პროგრამები), ლექციები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, გამოცდები, ტესტირება და ა.შ.


მისი ფაქტების ერთობლიობა იქნება:

- f1 - თანამშრომელს (ლექტორს) აქვს სახელი.
 - f2 - თანამშრომელი მუშაობს დეპარტამენტში.
 - f3 - თანამშრომელს დაკავებული აქვს ოთახი.
 - f4 - თანამშრომელი მუშაობს კონტრაქტით თარიღამდე.
 - f5 - თანამშრომელს უკავია თანამდებობა
 - f6 - თანამშრომელმა მიიღო ხარისხი უნივერსიტეტიდან.
 - f7 - თანამშრომელი ამოწმებს თანამშრომელს.
 - f8 - თანამშრომელს აქვს წოდება
 - f9 - თანამშრომელი ასწავლის საგანს.
 - f10 - თანამშრომელი ატარებს რეიტინგს.
 - f11 - პროფესორი ხელმძღვანელობს დეპარტამენტს.
 - f10 - დეპარტამენტს აქვს ბიუჯეტი.
 - f11 - პროფესორს კავია თანამდებობა კათედრაზე.
 - f12 - მასწავლებელი არის თანამშრომელი.
 - f13 - პროფესორი არის თანამშრომელი
- და ა.შ.


ზემოაღწერილი წესების თანახმად საჭიროა აიგოს *ORM*-დიაგრამა. ამიტანათვის ფაქტ-შეზღუდვები, რომლებშიც ასახულია საპრობლემო სფეროს შესახებ ცოდნა (კლასებისა და ობიექტების ძირითადი ტერმინები და ქცევის წესები), ჩვენს მიერ გადაიტანება

Ms_Visio ინსტრუმენტის საშუალებით ობიექტ-როლურ მოდელში (ნახ. 2.3-ა და ბ).

მოდელი ეტაპზე განხორციელდება ობიექტ-როლური მოდელის ავტომატური გადაყვანა არსთა-დამოკიდებულების მოდელში და, ბოლოს, მონაცემთა ბაზის სერვრში განთავსება. ამ საკითხებს ჩვენ წიგნის მომდევნო თავებში დაგუბრუნდებით.



ნახ.2.3-ა. ფაქტების ფორმალური ჩაწერა



ნახ.2.3-ბ. ORM-დიაგრამა MsVisio-გარემოში

2.5. Ms SQL - ბაზისთვის .DDL ფაილის მომზადება

საუნივერსიტეტო მართვის სისტემის საპრობლემო სფეროს მაგალითზე საჭიროა მონაცემთა ისეთი განაწილებული ბაზის დაპროექტება და აგება, რომელიც მომავალში მიუერთდება ქვეყნის ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის მონაცემთა საცავს.

ასეთი საინფორმაციო სისტემის აგებისას აუცილებელია მიღებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მის შემდგომ მასშტაბირებას და განვითარებას.

პროგრამული პაკეტების შექმნის ასეთ სტანდარტს (უნიფიცირებული მოდელირების ენას, წესებს) წარმოადგენს UML-ტექნოლოგია, ხოლო მის ერთ-ერთ გავრცელებულ ინსტრუმენტს *Ms_Visio*.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მონაცემთა ბაზის კონცეპტუალური და ლოგიკური სტრუქტურების დამუშავება, შემდგომ კი მისი ფიზიკური ორგანიზაცია, რეალიზაცია მაგალითად, SQL Server მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში.

საუნივერსიტეტო მართვის სისტემის, კერძოდ მისი მონაცემთა განაწილებული ბაზის დასაპროექტებლად, როგორც ეს UML-ტექნოლოგიით მოითხოვება, საჭიროა საპრობლემო სფეროს შესწავლა და მისი ტექსტური (არაფორმალური) აღწერა, აქ არსებული მიზნების, ამოცანების, ობიექტების, ფაქტორების და სხვა ელემენტების, აგრეთვე მათი ურთიერთკავშირების დეტალური ჩამოყალიბებით.

ესაა ცოდნა სამართვი ობიექტის შესახებ, მისი სტატიკური (მდგრადირებათა სიმრავლე) და დინამიკური (ქცევათა სიმრავლე) მოდელებით.


თუ ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების ტერმინებით ვისარგებლებთ, დასმული ამოცანის გადაწყვეტის „გასაღებს“ კლასების, ობიექტების, კლასთაშორისი კავშირების, ობიექტ-როლური და არსოთა-დამოკიდებულების მოდელებისა და სხვა სახის დიაგრამების აგება წარმოადგენს.

შემდეგ კი კლასთა-ასოციაციებისა და არსოთა-დამოკიდებულების დიაგრამათა საფუძველზე განხორციელდება მიზნობრივი სისტემის პროგრამული კოდების რეალიზაციის ავტომატიზებული პროცესი.

განვიხილოთ ეს საკითხები დეტალურად უნივერსიტეტის საპროცედურო სფეროს მაგალითზე.

არაფორმალიზებული აღწერის ობიექტებია (ტერმინთა დექსიკონი): ფაკულტეტები, კათედრები, სტუდენტები, ლექტორები (როგორც თანამშრომლები, ისე მოწვეულები, საშტატო და საათობრივი დატვირთვით), საგნები (აკადემიური დისციპლინები), რომლებიც იკითხება კათედრებისა და სპეციალობების მიხედვით. სასწავლო გეგმები, სილაბუსები (პროგრამები), ლექციები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, გამოცდები, ტესტირება და ა.შ.

მეორე ეტაპზე საპროცედურო სფეროს შესახებ ცოდნა (კლასებისა და ობიექტების ძირითადი ტერმინები და ქვევის წესები) ჩვენს მიერ გადაიტანება Ms Visio ინსტრუმენტის საშუალებით ობიექტ-როლურ მოდელში (ნახ.2.4).



ნახ. 2.4

ობიექტებისა და მათ შორის კავშირების (წესების) მოძღვნო ეტაპზე განხორციელდება ობიექტ-როლური მოძღვის ავტომატური გადაყვანა არსთა-დამოკიდებულების მოდელში.

ამისათვის Ms_Visio ინსტრუმენტის (ORM-source) მენიუდან გამოვიძახებთ სტრიქონს :


File | New | Database | Database Model Diagram

და ახალი ფანჯრის სუფთა ფურცელზე გადმოვიტანთ წინა ეტაპზე აგებულ ORM-დიაგრამის შესაბამის ER-დაგრამას. ამისათვის აქ მენიუდან მივუთითებთ:

Database | Project | Add Existing Document


2.5 ნახაზზე ნაჩვენებია ფრაგმენტი ასეთი გზით მიღებული შედეგისათვის.

აგების ინტერფეისი



ნახ.2.5. ობიექტ-როლური მოძღვის მაგალითი

2.6 ნახაზზე ჩანს სამი ცხრილი : ლექტორი, კათედრა და საგანი, აგრეთვე მათ შორის კავშირები. თუ ყველა ცხრილს გამოვიყენებთ ამ ნახაზიდან, მაშინ მივიღებთ რეალურ, მრავალცხრილურ კავშირებს.



ნახ.2.6. არსოთა-დამოკიდებულების მოდელის ფრაგმენტი

მონაცემთა ბაზის აგების ავტომატიზაციის შემდეგი პროცედურა მდგომარეობს შეალებური ტექსტური ტიპის *DLL*-ფაილის მომზადებაში, რომელიც მომავალში *SQL Server* მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაზე უნდა გამოიყენოს.

ქვემოთ მოცემულია აგბომატურად გენერირებადი DDL-
ფაილის ტექსტის ფრაგმენტი.

```

/* Driver Used : Microsoft Visual Studio - Microsoft SQL Server Driver.
*/
/* Create DB_Uni database. */
use master
go
create database "DB_Uni"
go
use "DB_Uni"
go
/* Create new table "Subject Lector". */
/* "Subject Lector" : Subject has a Lector / Lector givs a Subject */
/* "Subject SubjID" : Subject has a Lector */
/* "Lector LecID" : Lector givs a Subject */
create table "Subject Lector" (
    "Subject SubjID" char(10) not null,
    "Lector LecID" char(10) not null)
go
alter table "Subject Lector"
    add constraint "Subject Lector_PK" primary key ("Subject SubjID",
" Lector LecID")
go
/* Create new table "Lector". */
/* "Lector" : Table of Lector */
/* "Lector LecID" : Lector is identified by LecID */
/* "Works the Department DepID" : Department has Lector */
create table "Lector" (
    "Lector LecID" char(10) not null,
    "Works the Department DepID" char(10) not null)
go
alter table "Lector"
    add constraint "Lector_PK" primary key ("Lector LecID")
go
/* Create new table "Department". */
/* "Department" : Table of Department */
/* "Department DepID" : Department is identified by DepID */
/* "Has name" : Department has name */
create table "Department" (
    "Department DepID" char(10) not null,

```

```

    "Has name" bit not null)
go
alter table "Department"
    add constraint "Department_PK" primary key ("Department DepID")
go

/* Add foreign key constraints to table "Subject Lector". */
alter table "Subject Lector"
    add constraint "Lector_Subject Lector_FK1" foreign key (
        "Lector LecID")
    references "Lector" (
        "Lector LecID")

go
/* Add foreign key constraints to table "Lector". */
alter table "Lector"
    add constraint "Department_Lector_FK1" foreign key (
        "Works the Department DepID")
    references "Department" (
        "Department DepID")

go
/* This is the end of the Microsoft Visual Studio generated SQL DDL script. */

```

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც მოდელირების უნიფიცირებული ენის (UML) ინსტრუმენტებზეა ორიგნირებული, შესაძლებელია მოდელირებისა და დაპროგრამების პროცესების ავტომატიზაცია, რაც საბოლოო ჯამში შესაძლებელს ხდის მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების (მაგალითად, *Ms SQL Server, SyBase, Oracle, ADO.NET*) და დაპროგრამების საინტერფეისო ენების (მაგალითად, *C#.NET, VB.NET*) ინტეგრირებული გამოყენებით ვიზუალური მოდელირების პაკეტებთან ერთად (მაგალითად, *Ms Visio, Rational Rose, Paradigm Plus*) დაპროექტდეს და რეალიზებულ იქნას ხარისხიანად და სწრაფად მართვის ავტომატიზებული სისტემების Windows- და Web-დანართები.

2.6. ავტომატიზებული ანალიზის სისტემის დაპროექტება სატენდერო კომისიის ექსპერტებისათვის

აღწერილია სატენდერო პროცესის ზელშემწყობი კომპიუტერული სისტემა, რომლის მიზანია სატენდერო კომისიის ექსპერტებისათვის აუცილებელი საინფორმაციო ბაზისა და მისი ოპერატორიული ავტომატიზებული ანალიზის ჩატარების განხორციელება. კონცეპტუალური მოდელი დაპროექტებულია *ORM*-დიაგრამისა და მისი შესაბამისი *ER*-მოდელის საშუალებით. მონაცემთა ბაზა რეალიზებულია *Ms SQL* სერვერზე.

დღეს, მეტად აქტუალური გახდა ტენდერის ჩატარება ნებისმიერ სფეროში, მშენებლობა იქნება ეს, სარემონტო სამუშაოები, მომარაგება, ამა თუ იმ პროდუქციის შესყიდვა, თუ რომელიმე სხვა პროექტის განხორციელება. ტენდერს აცხადებს ორგანიზაცია, რომელსაც სურს გარკვეული მოცულობის ამა თუ იმ სამუშაოს შესრულება. ფირმები, რომელთაც სურს ამ სამუშაოს შესრულება, აკეთებენ ოფიციალურ განაცხადს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. უმცტესად ასეთი საქმიანობით სხვადასხვა ტიპის სპეციალიზებული ფირმებია დაინტერესებული. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია საჭირო იურიდიული დოკუმენტაციის შეკრება სხვადასხვა დაწესებულებებიდან, ასევე აუცილებელია სატენდერო მოსაქრებლის გადახდა ტენდერის მოთხოვნებში მითითებულ ბანკის ანგარიშზე. ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით შესასრულებელი სამუშაო დეტალურადაა წარმოდგენილი *UML Activity*-დიაგრამაზე (ნახ.2.7).

კონცეპტუალური მოდელის დაპროექტებისათვის გამოყენებულია ობიექტ-როლური მოდელირება (*ORM*), რომელიც კონცეპტუალური მოდელირების განვითარებულ ტექნიკას წარმოადგენს. ობიექტ-როლური მოდელირება მიახლოებულია ბუნებრივ სალაპარაკო ენასთან. ესაა მოდელირება ფაქტების საფუძველზე, სადაც საპრობლემო არე განიხილება, როგორც ობიექტების ერთობლიობა, რომლებიც თამაშობს გარკვეულ „როლებს“. ობიექტ-როლური მოდელირების მეთოდი აქტუალურია და ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთაც. აღნიშნული


ინსტრუმენტული საშუალებანი ემსახურება მონაცემთა ბაზის დაპროექტების ავტომატიზაციას.

UML-ტექნოლოგიის საფუძველზე პროგრამული პროდუქტების შექმნა მოითხოვს საკვლევი ობიექტის მოთხოვნილებათა განსაზღვრის, ობიექტ-ორიენტირებული ანალიზის (ოო), ოო-დაპროექტებისა და რეალიზაციის (ოო-დაპროგრამების) ეტაპების განხორციელებას.

ობიექტ-როლური მოდელირების მეთოდი გამოიყენება საგნობრივი სფეროს კვლევის ეტაპზე და ახორციელებს ექსპერტების (დამპროექტებლების) მიერ გარკვეული ცოდნის, ფაქტების ფიქსირებას, რომლებიც აუცილებელია ORM-დაგრამის (ობიექტ-როლური მოდელის) ასაგებად.

სატენდერო ამოცანების გადაწყვეტის ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემის აგების მიზნით შეიძლება შემდეგი ზოგადი ფაქტების ჩამოყალიბება, რაც შეესაბამება 2.7 ნახაზზე მოცემულ აქტიურობათა დაგრამას:

„არსებობს ფირმა რომელიც აცხადებს ტენდერს, აგრეთვე ფირმა (ფირმები), რომელიც მონაწილეობს ტენდერში, და ბოლოს - გამარჯვებული ფირმა. ფირმას აქვს რეკვიზიტები და ჰყავს მენეჯერი, აქვს საკუთარი ანგარიშის ნომერი ბანკში. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტები თავსდება კონვერტში, ილუქტება და იგზავნება ტენდერის მოთხოვნებში მითითებულ მისამართზე. აქვე მითითებულია ტენდერის ჩატარების თარიღი და დრო. ტენდერის ჩატარების დროს ყველა მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვალდებულია გამოცხადდეს მითითებულ მისამართზე. სატენდერო კომისიის წევრები საჯაროდ გახსნიან დალუქულ კონვერტებს, შეამოწმებენ იურიდიულად საჭირო დოკუმენტაციის არსებობას და შეადგენენ ოქმს ტენდერის დაწყებისა და მასში მონაწილე ორგანიზაციების შესახებ.



656.2.7


თუ დოკუმენტაციას აკლია რომელიმე აუცილებელი დოკუმენტი, ან არასწორადაა წარმოდგენილი, ასეთი ფირმა მოიხსნება ტენდერიდან. მომდევნო პერიოდში ტენდერის კომისიის წევრები დეტალურად გაეცნობიან შემოთავაზებულ წინადაღებებს, გადამოწმებენ საბუთებს, მსჯელობის შემდეგ ამოირჩევენ საუკეთესო (მისაღებ) წინადაღებას და შემდგომ დასახელებენ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას. დამარცხებულ ფირმებს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ტენდერის ჩატარებული ფირმის გადაწყვეტილება, რაც ხდება შემდგომი იურიდიული დავის საგანი. გამარჯვებული ფირმის ანგარიშზე გადაირიცხება სამუშაოს დაწყებისათვის აუცილებელი თანხა და ა.შ.“

ასეთი არაფორმალიზებული აღწერიდან ფორმალიზებულზე გადასასვლელად არის საჭირო სწორედ ფაქტების გამოკვეთა, რომლებიც შემდგომ ობიექტ-როლური დიაგრამისთვის გამოგვადგება. 2.8 ნახაზზე მოცემულია „ტენდერის ჩატარების“ პროცესის ფაქტების გადატანა ORM-დიაგრამაზე.


Ms Studio.Net პროგრამული პაკეტი, კერძოდ Ms Visio საშუალებას გვაძლევს ORM-დიაგრამიდან ავტომატურად ავაგოთ საპრობლემო სფეროს კონცეპტუალური მოდელი, ER-დიაგრამა, რომელიც ჩვენი შემთხვევისთვის მოცემულია 2.9 ნახაზზე.

ERM (Entyty Relation Model)-ის საფუძველზეც აიგება რელაციურ მონაცემთა ბაზების ლოგიკური სტრუქტურა. მონაცემთა ბაზის დაპროექტების მიზნით ვიყენებთ SQL-სერვერს.

2.10 ნახაზზე მოცემულია ტენდერის ჩატარების ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემის TENDER-მონაცემთა ბაზის ცხრილების ფრაგმენტი.



6.6.2.8



656.2.9

| Design Table 'Firm participating in the tender' in 'tender' | | | | |
|---|-------------|-----------|--------|-------------|
| | Column Name | Data Type | Length | Allow Nulls |
| | Firmcode | int | 4 | |
| | saxeli | char | 10 | ✓ |
| | qalaqi | char | 10 | ✓ |
| | misamarTi | char | 53 | ✓ |
| | tel | char | 10 | ✓ |
| | FAQSI | char | 19 | ✓ |

| Design Table 'List of firm' in 'tender' on 'USER-ELOAD09BE2' | | | | |
|--|-------------|-----------|--------|-------------|
| | Column Name | Data Type | Length | Allow Nulls |
| | Firmcode | int | 4 | ✓ |
| | dasaxeleba | char | 10 | ✓ |
| | fasi | money | 8 | ✓ |

| Design Table 'Prize list' in 'tender' on 'USER-ELOAD09BE2' | | | | |
|--|-------------|-----------|--------|-------------|
| | Column Name | Data Type | Length | Allow Nulls |
| | dasaxeleba | char | 10 | |
| | modeli | char | 10 | |
| | raodenoba | char | 10 | ✓ |
| | Fasi | money | 8 | ✓ |

65b.2.10


2.7. ენერგოსისტემის ობიექტ-როლური მოდელი

თანამედროვე ენერგეტიკული ობიექტების ქსელი უდავოდ მიეკუთვნება რთული და დიდი სისტემების კლასს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მნელადფორმალიზებადი მართვის ამოცანების, დიდი მოცულობის საინფორმაციო ბაზების და გადაწყვეტილების მიღების რთული აღგორითმების არსებობა. ყოველივე ეს კი აუცილებლად მოითხოვს ენერგეტიკაში მართვის ახალი სისტემების გამოყენებას.

ენერგოსისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მართვის ავტომატიზებული სისტემების ქსელის აგების კონცეფციაში, ერთის მხრივ, მცირე და საშუალო კერძო ბიზნესის სექტორის გაფართოების გამო, და მეორეს მხრივ, მკაცრი კონკურენციის პირობებში მათი მოქმედების არეალის საერთაშორისო ბიზნესის მოთხოვნების ჩარჩოებში მოქცევაში, მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა. განსაკუთრებით საყურადღებოა საქმიანი პროცესების ტექნოლოგიური ციკლების თანმხლები საინფორმაციო ნაკადების მართვის მექანიზმების დახვეწა, უნიფიცირებული დოკუმენტებისა და დოკუმენტრუნვის პროცესებით გათვალისწინებით, ახალი საკანონმდებლო აქტებისა და ინტერნეტ-ინტრანეტის პირობებში.

ჩვენი მიზანია ორგანიზაციული და ბიზნესის მართვის განაწილებული ენერგოსისტემის ოფის-ობიექტებისათვის საქმიანი პროცესების წარმოების უნიფიცირებული დოკუმენტრუნვის ტექნოლოგიის შემუშავება და პროგრამული რეალიცაზია, თანამედროვე ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების მეთოდებისა და კლიენტ-სერვერული არქიტექტურის საფუძველზე.

2.11 ნახაზე მოცემულია განაწილებული ენერგოობიექტების ზოგადი ORM-დიაგრამის ფრაგმენტი, რომელიც აერთიანებს ელექტროგის მწარმოებლებს, მის დამკვეთებს (მაგ., თელასი) და საბოლოო აბონენტებს (იურიდიულ და ფიზიკურ მომხმარებლებს).



ნახ.2.11. ORM მოდელის ფრაგმენტი

ენერგეტიკის ოფის-ობიექტებზე საქმიანი პროცესების თანმხლები უნიფიცირებული და ინდივიდუალური დოკუმენტაციისა და დოკუმენტბრუნვის სისტემის დიაგნოსტიკური ანალიზი, ფუნქციურ განყოფილებათა ურთიერთკავშირის სტრუქტურებისა და მართვის პროცესში მონაწილე პირთა „როლების“ გათვალისწინებით.

მოცემულ პარაგრაფში დამუშავებულია განაწილებული ენერგეტიკული ოფის-სისტემის მონაცემთა ბაზის ფიზიკური სტრუქტურები, მათი მოდიფიკაციის ალგორითმები და ადმინისტრირების ფუნქციები, კლიენტ-სერვერული არქიტექტურის გამოყენებით. შემოთავაზებულია ენერგეტიკული ოფის-სისტემის მომსარებელთა ინტერფეისები, მათი როლების შესაბამისად.

მართვის ავტომატიზებული სისტემის ამოცანები განიხილება განაწილებული ენერგოსისტემის მთლიან სპექტრში, დაწყებული, მაგალითად, ენგურჲესის პიდროვებულოსადგურზე ელექტრის გამოშავების აღრიცხვიდან, დამთავრებული თელასის საბორნებო გადასახადების აღრიცხვისა და კონტროლის ამოცანებით, ინტერნეტული მოხმარებისათვის.


2.8. ენერგოობიექტების კონტროლის სისტემის მონაცემთა ბაზის ავტომატიზებული აგება

განხილულია ენერგეტიკის სფეროში მომუშავე პერსონალისათვის მონაცემთა ბაზების ავტომატიზებული დაპროექტების ამოცანა. მისი გადაწყვეტა საშუალებას აძლევს ენერგეტიკოს-სპეციალისტს მონაცემთა ბაზის სტრუქტურა ააგოს კომპიუტერის დახმარებით საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ენერგო-სფეროში.

მოდელირების პროცესის წარმართვისათვის მას ესაჭიროება კონკრეტული ამოცანის ირგვლივ გარკვეული არსებული კანონზომიერებების (ფაქტების) ტექსტური ფორმით ჩაწერა. მაგალითად:


- f1 - აბონენტს აქვს გვარი;
 - f2 - აბონენტს აქვს მრიცხველი;
 - f3 - აბონენტს იხდის თანხას ყოველი თვის 15 რიცხვამდე;
 - f4 - მრიცხველზე აღნიშნულია მოხმარებული ელექტროგია კვტ/სთ;
 - f5 - არსებობენ აბონენტები, რომლებმაც გადაიხადეს ან არ გადაიხადეს მოხმარებული ელექტროგიის საფასური;
 - f6 - თელასში მუშაობენ თანამშრომლები;
 - f7 - თანამშრომელს აქვს გვარი;
 - f8 - ოპერტორი არის თანამშრომელი;
 - f9 - ტექნიკური პერსონალი არის თანამშრომელი;
 - f10 - მოლარე არის თანამშრომელი;
 - f11 - ტექნიკური პერსონალი აღნიშნავს აბონენტთა მრიცხველების ჩვენებებს რეესტრში;
 - f12 - რეესტრში არსებული მონაცემები ოპერატორს შეაქვს ბილინგის მონაცემთა ბაზაში;
 - f13 - ბილინგის მონაცემთა ბაზიდან გამოიწერება ქვითარი;
 - f14 - ქვითარზე აღნიშნულია თანხა ;
 - f15 - ქვითარს დებულობს აბონენტი ;
 - f16 - აბონენტი იხდის ფულს მოლარესთან ;
- და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების შესაბამისი *ORM (Object-Role Model)*-დიაგრამა, რომელიც აიგება *MsVisio* მოდელირების ინსტრუმენტით, მოცემულია 2.12 ნახატზე. რაც მეტი ფაქტია ადწერილი, მით უფრო ზუსტია ობიექტის საშედეგო სემანტიკური (კონცეპტუალური) მოდელი.



ნახ.2.12. ORM-დიაგრამის ფრაგმენტი

Зеңдәгөөр үйләнештә ORM-дөйөмлөшөөмөндөн ағыпчылар да
гақаралык бөлтөр ERM (Entity Relationship Model) дөйөмлөшөөмөс (бәз.2.13),
рөмлөлөс сағуфтағылғылар да оғында өзөлдөсөн мөнбаузында дағылдырылған.



Бәз.2.13. ERM-дөйөмлөшөөмөс өзөлдөсөн

მესამე ეტაპზე ER-მოდელის საფუძველზე ვახდენთ პროგრამული სახით მონაცემთა აღწერის DDL ფაილის ავტომატურ გენერირებას (ნახ.2.14).

```

ქვემოთ მოცემულია .DDL ფაილის კოდის ფრაგმენტი:
/* Create new table "Reestri gadaecema Operator". */  

/* "Reestri gadaecema Operator" : Table of Reestri gadaecema Operator */  

/* "Reestri name" : Reestri identifies Reestri gadaecema Operator */  

/* Role two (Reestri) of fact: Reestri gadaecema Operator is identified by */  

/* Role two (Reestri name) of fact: Reestri is identified by */  

/* "TanamShrom Tanamnr" : TanamShrom Operator has Reestri gadaecema  

   Operator */  

create table  

  "Reestri gadaecema Operator" ("Reestri name" char(10) not null,  

   "TanamShrom Tanamnr" char(10) not null)  

  go  

alter table "Reestri gadaecema Operator"  

add constraint "Reestri gadaecema Operator_PK" primary key ("Reestri  

   name")  

go  

create table "Abonenti ixdis Puli rebulobs Molare" (  

  "Abonenti abnnr" char(10) not null,  

  "Ixdis Puli rebulobs" char(10) not null,  

  "TanamShrom Tanamnr" char(10) not null)  

  go  


alter table "Abonenti ixdis Puli rebulobs Molare"  

add constraint "Abonenti ixdis Puli rebulobs Molare_PK" primary  

   key ("Abonenti abnnr")  

go  

....
```



ნახ.2.14

ამგვარად, კომპიუტერულ სისტემაში მონაცემთა ბაზების სტრუქტურები და ცხრილთაშორისი კავშირები მზადაა კონკრეტული მონაცემების შესატანად. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მიღებული მონაცემთა ბაზის სტრუქტურის მანუალური მოდიფიკაცია.

ლიტერატურა

1. Booch G., Rumbaugh J., Jacobson I., *The Unified Modeling Language User Guide*. Addison Wesley Longman, 2004.
2. სურვულაძე გ., ველეკინდი ჰ., თოფურია ნ. განაწილებული ოფის-სისტემების მონაცემთა ბაზების დაპროექტება და რეალიზაცია UML-ტექნიკობით. მონოგრაფია. სტუ, თბილისი. 2006.
3. Halpin T.A., *Information Modeling and relational Databases*, Morgan Kaufmann Publishers, San Francisco, 2001. www.mkp.com/books_catalog/catalog.asp?ISBN=1-55860-672-6.
4. Halpin, T.A., *Microsoft's new database modeling tool: Part 8*, www.orm.net

5. Ovchinnikov V., Vahromeev Y. A Declarative Concept-Based Query Language as a mean for Relational Database Querying, *Journal of Conceptual Modeling* – www.inconcept.com/jcm, 2005.

6. სურგულაძე გ., დოდიძე თ., ყვავაძე ლ. კომპონენტური დაპროგრამება. სტუ. თბილისი, 2006.

7. სურგულაძე გ., შონა თ., ყვავაძე ლ. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები: *Ms Access, SQL Server, InterBase, Oracle, Corba*. სტუ. თბილისი, 2004.

8. სურგულაძე გ., თოფურია ნ., ილიაზი ი. კათგროს მართვის ავტომატიზებული სისტემის დაპროექტების და აგება UML-ტექნიკების გამოყენებით. სტუ. შრ.კრ. №4(437), 2001.

9. სურგულაძე გ. დაპროგრამების ვიზუალური მეთოდები და ინსტრუმენტები: *UML, Ms VISIO, C++Builder*. სტუ. თბ., 2005.

10. Николашвили В., Сургладзе Г. Топурия Н., Кашибадзе М. Категориальный подход разработки абстрактных моделей данных для объектно-ориентированных, реляционных баз данных. Тез.Докл.Интерн.Конф. Киев, 2006.

11. ყოფიძე გ., ჯამარაშვილი გ., არაბიძე გ. საქართველოს სამობინარებელი კომპლექსის პროდლემები და განვითარების პრესრეგებით. სტუ. თბ., 2004.

12. არაბიძე გ., სურგულაძე გ., თოფურია ნ. კლექტროენერგიის განაწილების მართვის ავტომატიზებული სისტემის აგება მიზანური მოდელირების საფუძვლზე. სტუ. შრ.კრ. №4(490), 2006.

13. თოფურია ნ. კლექტროენერგიის ტექნიკური დანაკარგების კონტროლის კომპიუტერული სისტემის აგება *ORM/ERM* ბაზაზე. სტუ. შრ.კრ., მას“ №I(2), 2007.

14. სურგულაძე გ., თოფურია ნ., ყვავაძე ლ. განაწილებული მონაცემთა ბაზების აგების ავტომატიზაცია *.NET* გარემოში. სტუ. შრ.კრ., მას“ №I(2), 2007.

15. გოგიანიშვილი გ., ფრანგიშვილი ა., სურგულაძე გ. ინფორმატიკა, პროგრამული ტექნოლოგიები და მათი განვითარების და სწავლების თანამედროვე მიმართულებანი. სტუ. შრ.კრ., მას“ №I(2), 2007.